2018

საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა

შეჯამება

2018 წლის სტატისტიკური ანგარიში მიმოიხილავს ტურიზმის სექტორში არსებულ მდგომარეობას და ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებულ აქტივობებს.

2010 წლიდან საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელობის გაზრდაში. ადმინისტრაციის მიზნებია საქართველოში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ქვეყანაში საექსპორტო შემოსავლების ზრდა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წახალისება.

სტატისტიკური მონაცემებით, 2018 წელს საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიამ ზრდა განაგრძო. ამ წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 777,035-ით გაიზარდა და პირველად გადააჭარბა რვა მილიონს.

საერთაშორისო და შიდა ტურიზმი დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. უცხოელი მოგზაურების დანახარჯები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე. ქვეყნის სერვისის ექსპორტის შემოსავლიდან დაახლოებით 71.8% ტურიზმზე მოდის. საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები მზარდი ტენდენციით გამოირჩეოდა, შედეგად 2018 წელს მისმა მოცულობამ 3.2 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. მშპ-ში წილმა კი 7.6%-ს მიაღწია. აღნიშნული მაჩვენებლის მიღწევა ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულების 475 მილიონი ლარით ზრდის შედეგად გახდა შესაძლებელი.

2018 წელს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული იყო 2,390 განთავსების ობიექტი 86,772 საწოლი ადგილით. განთავსების საშუალებების ოთახების მიხედვით კლასიფიკაციის თანახმად, ხუთი და ნაკლები ოთახის რაოდენობრივი კატეგორია ყველაზე მსხვილი იყო 876 (36.7%), დანარჩენი კატეგორიების განთავსების ობიექტებმა კი 1,514 (63.3%) შეადგინა.

საქართველოს ჰქონდა წარმატებები საერთაშორისო ურთიერთობებშიც. 2018 წლის იანვრიდან, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ესპანეთში ბატონმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა, 4 წლის ვადით (2018-2021), დაიკავა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) გენერალური მდივნის თანამდებობა.

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები ძალიან ოპტიმისტურია. მომავალ წლებში პროგნოზირებენ, რომ ინდუსტრია შექმნის უფრო მეტ სამუშაო ადგილს და მიიღებს მეტ შემოსავალს. საქართველოს მთავრობისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ერთობლივი საქმიანობის შედეგად საერთაშორისო ვიზიტების მნიშვნელოვანი ზრდა არის მოსალოდნელი. ამაში კი 2015 წელს შექმნილმა ტურიზმის ათწლიანმა სტრატეგიამ უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს.

საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების გასაზრდელად ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ აქტივობებს შორისაა: ტურიზმის მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობის გამარტივება, სერვისის ხარისხის გაუმჯობესება, საქართველოს ცნობადობის ამაღლება, მარკეტინგული აქტივობების იმპლემენტაცია, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზარზე და ტურისტული პროდუქტის განვითარება.

2018 წელს ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო 24 საერთაშორისო და შიდა ტურისტულ გამოფენაში, ჩაატარა 150 პრეს და გაცნობითი ტური (800 ჟურნალისტი და 285 ტურ-ოპერატორი). გარდა ამისა, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ აწარმოა სარეკლამო კამპანია საერთაშორისო ონლაინ პლატფორმა Tripadvizor.com-ზე 15 ქვეყანაში, Expedia-ზე ოთხ ქვეყანაში, Lonely Planet-ზე ევროპის ქვეყნებში, National Geographic- ზე ევროპისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში და ონლაინ კამპანია Emotions are Georgia (Youtube, facebook, Instagram) 11 ქვეყანაში. გაიმართა პრეზენტაციები შვიდ ქვეყანაში. გარდა ამისა, მიმდინარეობს სარეკლამო კამპანია მსოფლიოს წამყვან ტელეარხებზე, მათ შორის: CNN, Euronews და BBC.

იმედი გვაქვს, რომ ეს პუბლიკაცია გახდება ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო, რომელსაც ხშირად მიუბრუნდებით.

საერთაშორისო ვიზიტები

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. 2018 წელს ამ რიცხვმა რეკორდულ მაჩვენებელს 8,679,544-ს მიაღწია (+9.8%).

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობას (83%) და სხვა ვიზიტებს (არატურისტული) (17%). საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების 66% ტურისტული ვიზიტი იყო, ხოლო 34% ერთდღიანი ვიზიტი.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტებს შორის ყველაზე პოპულარული ზაფხულის სეზონია 2,492,924 ვიზიტით, (ივნისი: 606,792; ივლისი: 845,588; აგვისტო: 1,040,544), რაც მთლიანი ვიზიტების 34.6%-ს შეადგენს.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტებში (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) უმეტესი წილი - 77.3% (5,196,808) მეზობელ ქვეყნებს უკავიათ, მხოლოდ 22.7% (1,530,153) მოდის სხვა ქვეყნებზე. წლის ლიდერი ვიზიტების რაოდენობით აზერბაიჯანია 1,424,610 (+9.5%), ხოლო რაოდენობრივი ზრდის მიხედვით რუსეთი (+269,700). მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნევა ასევე აზერბაიჯანელი (+123,054), თურქი (+91,279) და ისრაელის (+41,882) ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობაში. აღნიშნული ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორები ავიარეისების დამატება, პრესტურები და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული კამპანიებია.

ევროკავშირის ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 385,181 შეადგინა.

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა 5,314,984 (73.8%) სახმელეთო ტრანსპორტის მეშვეობით განხორციელდა, შემდეგ არის საჰაერო ტრანსპორტი 1,788,417 (24.8%). სარკინიგზო და საზღვაო გზით ვიზიტების რაოდენობამ, შესაბამისად 67,478 (0.9%) და 32,471 (0.5%) შეადგინა. ყველაზე დატვირთული საზღვარია თბილისის აეროპორტი 1,402,157 ვიზიტით (მთლიანი საზღვრის კვეთების 19.5%). მას მოსდევს სარფი 1,296,833 (18%) და ყაზბეგი 1,129,490 (15.7%).

ძირითადი ინფორმაცია
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების სტატისტიკა მოწოდებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ.

მეთოდოლოგია
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების სტატისტიკა აღწერს ვიზიტების რაოდენობის დინამიკას, რომლებიც 21 სასაზღვრო გამშვები პუნქტის საშუალებით განხორციელდა.

ძირითადი გამოქვეყნებული ინდიკატორები
მოგზაური არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით. ის გამორიცხავს საქართველოს რეზიდენტ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს და მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხო ქვეყნის რეზიდენტები არიან. საერთაშორისო მოგზაურის მიერ განხორციელებულ ვიზიტს **საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტად** მოვიხსენიებთ.

ვიზიტორი არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით. საქართველოში ჩვეული გარემოს განსასაზღვრად შეირჩა მეთოდი, რომლის თანახმადაც ჩვეულ გარემოში ითვლება ის ვიზიტები, რომელიც თვეში 8-ჯერ ან 8-ზე მეტჯერ ხორციელდება. საერთაშორისო ვიზიტორის მიერ განხორციელებულ ვიზიტს **საერთაშორისო ვიზიტს** ვუწოდებთ.

ტურისტი არის ვიზიტორი, რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე. მათ მიერ განხორციელებული ვიზიტები **საერთაშორისო ტურისტული ვიზიტებია.**

ერთდღიანი (ექსკურსანტი) არის ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე. მათ მიერ განხორციელებული ვიზიტები ერთდღიანი (ექსკურსიული) ვიზიტებია.

სხვა ვიზიტები (არატურისტული) მოიცავს ყველა იმ ვიზიტს, რომელიც არ შედის საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობაში. ეს კატეგორია მოიცავს 15 წელზე უმცროსი ასაკის მოგზაურების ვიზიტებს და ჩვეულ გარემოში განხორციელებულ ვიზიტებს (8 და 8-ზე მეტი თვეში).

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ გვერდზე: www.gnta.ge

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობაში მეზობელი ქვეყნების წილი იკლებს. 2018 წელს მეზობელი ქვეყნებიდან ვიზიტებმა 5,196,808 შეადგინა, რაც +9.8%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. სხვა ქვეყნების ვიზიტების ზრდა უფრო მნიშვნელოვანი იყო და მათმა რაოდენობამ 1,530,153-ს (+18.1%) მიაღწია. შედეგად მეზობელი ქვეყნების წილი მთლიან საერთაშორისო ვიზიტებში (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) 78.5%-დან 77.3%-მდე შემცირდა. აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს ტურიზმის სტრატეგიითაც არის გათვალისწინებული.

გერმანიამ საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობით ყაზახეთსა და საუდის არაბეთს გადაუსწრო. 2018 წელს გერმანიის რეზიდენტების მიერ განხორციელებული საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 64,486 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით +49.7%-ით მეტია (+21,396). აღნიშნული შედეგით გერმანიამ მეათე პოზიცია დაიკავა.

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა საჰაერო გზით მნიშვნელოვნად იზრდება. 2018 წელს საჰაერო გზით განხორციელებული საერთაშორისო ვიზიტების რიცხვმა 1,788,417-ს მიაღწია, რაც +24.2%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. შესაბამისად საჰაერო გზით განხორციელებული ვიზიტების წილი მთლიან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობაში 22.2%-დან 24.8%-მდე გაიზარდა.

დსთ-სა და ევროკავშირის ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა იზრდება. 2018 წელს დსთ-ს ქვეყნებიდან ვიზიტების რაოდენობამ 4,252,447 შეადგინა, რაც +10.4%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.
2018 წელს დსთ-ს ქვეყნებიდან განსაკუთრებული ზრდით გამოირჩეული ქვეყნებია: ყირგიზეთი (+45.8%), ბელარუსი (+42.9%), ყაზახეთი (+24.8%) და რუსეთი (+23.8%). ასევე მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება ევროკავშირის ქვეყნების საერთაშორისო ვიზიტებშიც. ევროკავშირიდან ვიზიტების რაოდენობამ 385,181 შეადგინა, რაც +36%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მათ შორის გამორჩეული ზრდა დაფიქსირდა ესტონელი +80%, სლოვაკი +62%, რუმინელი +59%, ჰოლანდიელი +56%, გერმანელი +50%, ლატვიელი +50%, ჩეხი +44%, პოლონელი +37%, ფრანგი +36%, ინგლისელი +31% და იტალიელი +30% ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტებში.

საერთაშორისო ტურისტულ ვიზიტებში ლიდერი ქვეყანა რუსეთია, რუსეთიდან ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა. რუსეთიდან ტურისტული ვიზიტების რაოდენობა ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იმატებს. 2018 წელს ტურისტულ ვიზიტებში რუსეთმა პირველი ადგილი დაიკავა 1,083,874 ვიზიტით, რაც +31.3%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ ტურისტულ ვიზიტებში რუსეთმა პირველმა გადალახა ერთ მილიონიანი ნიშნული.

არამეზობელი ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) მნიშვნელოვანი ნაწილი ტურისტული ვიზიტების კატეგორიაში ხვდება. მეზობელი და არამეზობელი ქვეყნების საერთაშორისო ვიზიტების სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მეზობელი ქვეყნებიდან ვიზიტების მხოლოდ 55.4%-ია ტურისტული ვიზიტი (2,881,538), იგივე მაჩვენებელი არამეზობელი ქვეყნების შემთხვევაში 94.8%-ს (1,450,685) აღწევს.

2018 წლის საერთაშორისო ვიზიტების რეკორდული ზრდა უმეტესწილად ტურისტული ვიზიტების ზრდით იყო განპირობებული. საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რიცხვმა საქართველოში 4,756,820 შეადგინა, რაც +16.9%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ჯამში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა +720,520-ით გაიზარდა, ზრდაში ტურისტული ვიზიტების რაოდენობა 687,466-ს (ზრდაში წილი 95.4%) შეადგენდა.

საერთაშორისო მოგზაურობის კლასიფიკაცია

ვიზიტის ტიპი	2016	2017	2018	ცვლილება % 2017-2018
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	6,719,975	7,902,509	8,679,544	9.8%
საერთაშორისო ვიზიტები	5,392,816	6,482,830	7,203,350	11.1%
ტურისტული ვიზიტები	3,297,275	4,069,354	4,756,820	16.9%
ერთდღიანი ვიზიტები	2,095,541	2,413,476	2,446,530	1.4%
სხვა ვიზიტები (არატურისტული)	1,327,159	1,419,679	1,476,194	4%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2017	2018	ცვლილება	ცვლილება %
მთლიანი ჯამი	6,482,830	7,203,350	720,520	11.1%
ევროპა	5,440,839	6,087,598	646,759	11.9%
ამერიკა	42,485	55,188	12,703	29.9%
აღმოსავლეთ აზია/ წყნარი ოკეანის აუზი	397,148	444,631	47,483	12%
აფრიკა	8,193	8,356	163	2%
ახლო/შუა აღმოსავლეთი	131,533	125,773	-5,760	-4.4%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები თვეების მიხედვით



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები, პირველი 10 ქვეყანა

ქვეყანა	2017	2018	ცვლილება	ცვლილება %
აზერბაიჯანი	1,301,556	1,424,610	123,054	9.5%
რუსეთი	1,135,057	1,404,757	269,700	23.8%
სომხეთი	1,287,168	1,268,886	-18,282	-1.4%
თურქეთი	1,007,276	1,098,555	91,279	9.1%
საქართველო (არარეზიდენტი)	456,132	476,389	20,257	4.4%
ირანი	282,549	291,070	8,521	3%
უკრაინა	169,862	177,058	7,196	4.2%
ისრაელი	115,040	156,922	41,882	36.4%
პოლონეთი	48,913	66,903	17,990	36.8%
გერმანია	43,090	64,486	21,396	49.7%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები, პირველი 10 ქვეყანა

ქვეყანა	2017	2018	ცვლილება	ცვლილება %
რუსეთი	825,437	1,083,874	258,437	31.3%
აზერბაიჯანი	608,682	697,782	89,100	14.6%
თურქეთი	547,983	589,340	41,357	7.5%
სომხეთი	466,449	510,542	44,093	9.5%
საქართველო (არარეზიდენტი)	404,584	424,597	20,013	4.9%
ირანი	273,842	280,735	6,893	2.5%
უკრაინა	147,389	158,160	10,771	7.3%
ისრაელი	112,827	154,764	41,937	37.2%
პოლონეთი	47,604	65,361	17,757	37.3%
გერმანია	41,217	61,422	20,205	49%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	მოსაზღვრე ქვეყანა	2017	2018	ცვლილება	ცვლილება %
ჯამი	⬇	6,482,830	7,203,350	720,520	11.1%
მათ შორის	⬇	⬇	⬇	⬇	⬇
თბილისის აეროპორტი	.....	1,133,811	1,402,157	268,346	23.7%
სარფი	თურქეთი	1,101,317	1,296,833	195,516	17.8%
ყაზბეგი	რუსეთი	1,045,488	1,129,490	84,002	8%
წითელი ხიდი	აზერბაიჯანი	1,018,548	1,121,052	102,504	10.1%
სადახლო	სომხეთი	1,012,111	1,057,581	45,470	4.5%
ბათუმის აეროპორტი	.....	193,699	239,251	45,552	23.5%
ცოდნა	აზერბაიჯანი	209,673	207,309	-2,364	-1.1%
ნინოწმინდა	სომხეთი	177,753	163,985	-13,768	-7.7%
ქუთაისის აეროპორტი	.....	112,179	147,009	34,830	31%
ვალე	თურქეთი	146,052	112,763	-33,289	-22.8%
კარწახი	თურქეთი	118,822	106,006	-12,816	-10.8%
ვახტანგისი	სომხეთი	75,675	71,769	-3,906	-5.2%
გუგუთი	სომხეთი	51,895	47,784	-4,111	-7.9%
გარდაბნის რკინიგზა	აზერბაიჯანი	26,195	37,694	11,499	43.9%
სადახლოს რკინიგზა	სომხეთი	27,180	29,257	2,077	7.6%
ბათუმის პორტი	.....	12,953	16,445	3,492	27%
ფოთის პორტი	.....	16,876	14,038	-2,838	-16.8%
ყულევის პორტი	.....	1,857	1,988	131	7.1%
კარწახის რკინიგზა	თურქეთი	41	527	486	1,185.4%
სამთაწყარო	აზერბაიჯანი	480	337	-143	-29.8%
ახკერპი	სომხეთი	225	75	-150	-66.7%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტორების მახასიათებლები

საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ ჯამში 7,203,350 შეადგინა. მათგან 66% (4,756,820) ტურისტულ ვიზიტს წარმოადგენდა (მინიმუმ ერთ ღამისთევას მოიცავდა), ხოლო 34% ერთდღიანი ვიზიტი (2,446,530) იყო.

საერთაშორისო ვიზიტორების ყველაზე დიდ ნაწილს (46.3%) 31-50 წლის ასაკობრივი კატეგორია წარმოადგენდა, 15-30 წლის ვიზიტორები 28%-ს შეადგენდნენ, ხოლო 51-70 წლის ასაკობრივი ჯგუფი 23.8% იყო. საერთაშორისო ვიზიტორების მხოლოდ 1.9% ხვდება 71 და მეტ ასაკობრივ კატეგორიაში.

მთლიანი ვიზიტების 72.9% განმეორებით განხორციელდა საქართველოში, 27.1% კი პირველი ვიზიტი იყო. განმეორებითი ვიზიტების ყველაზე დიდი წილი აზერბაიჯანის რეზიდენტებზე (31.1%) მოდის, მას მოსდევს სომხეთი (23.2%), რუსეთი (18.7%) და თურქეთი (16%). პირველადი ვიზიტების რაოდენობაში კი ლიდერობენ რუსეთი და თურქეთი, მათზე შესაბამისად მთლიანი პირველადი ვიზიტების 25.9% და 17.3% მოდის.

მოგზაურობის მიზანი და ხანგრძლივობა

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელდა (42.7%). სხვა ხშირად ნახსენებ მიზნებს შორისაა მეგობრების და ნათესავების მონახულება (20.3%), ტრანზიტი (16.5%), ბიზნესი, პროფესიული საქმიანობა (8.7%), შოპინგი (6.9%) და მკურნალობა (2.7%), მხოლოდ ვიზიტების 2.2% იყო სხვა მიზნით განხორციელებული.

მოგზაურობის საშუალო ხანგრძლივობა 4.2 ღამეა. მეზობელი ქვეყნების რეზიდენტების საქართველოში ყოფნის პერიოდი საკმაოდ მცირეა, რუსეთის რეზიდენტებისგან განსხვავებით, რომლებიც საშუალოდ 6.3 ღამით რჩებიან საქართველოში.

განთავსების საშუალებები

2018 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური ღამისთევების რაოდენობა 30,183,344-ს შეადგენს. მათ შორის ყველაზე მეტი ღამისთევა (39.6%) სასტუმროში განხორციელდა. მეოთხედზე მეტი (26.5%) კი მეგობრების, ნათესავის სახლში. სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ნაკლებად გამოიყენება საერთაშორისო ვიზიტორებს შორის 12.7% სასტუმრო სახლში, ჰოსტელში დარჩა.

ვიზიტის დანიშნულების ადგილი

ვიზიტების 52.3% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოსდევს ბათუმი 29%-ით. სხვა დანიშნულების ადგილებს ვიზიტორთა უფრო მცირე რაოდენობა ესტუმრა. მათ შორის ყველაზე პოპულარულია მარნეული 11.7% და მცხეთა 9.9%. სხვა მნიშვნელოვანი დანიშნულების ადგილებია: ყაზბეგი (8.9%), გუდაური (4.9%), სიღნაღი (4.8%), ქუთაისი (4.6%), თელავი (3.7%) და ბორჯომი (3.4%).

ვიზიტზე გაწეული დანახარჯები

საერთაშორისო ვიზიტორების ჯამურმა დანახარჯებმა 7.9 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 1,099 ლარი შეადგინა.

დანახარჯების ყველაზე დიდი წილი საკვებსა და სასმელზე (მთლიანი ხარჯების 28.6%) და განთავსების საშუალებებზე (23.4%) დაფიქსირდა. ასევე მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი რეკრეაციულ და კულტურულ აქტივობებზე დანახარჯები (18.1%), ხოლო შოპინგზე ვიზიტორებმა მთლიანი დანახარჯების მხოლოდ 13.6% გასწიეს.

ძირითადი ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის მიზანს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების მახასიათებლების განსაზღვრა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია ეყრდნობა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მონაცემები დამყარებულია კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ხორციელდება. ინტერვიუები ტარდება კვარტალურად სისტემური შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. შერჩევის ზომა იცვლება კვარტლების მიხედვით: I, II და IV კვარტალში თვეში 900 რესპოდენტი, III კვარტალში-თვეში 1,300 რესპოდენტი.

ინტერვიუები ხორციელდება 15 წლის და უფროსი ასაკის საერთაშორისო ვიზიტორებთან, რომლებიც ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას ათ უდიდეს სასაზღვრო გამშვებ პუნქტში (აეროპორტები და სახმელეთო საზღვრები).

მთავარი გამოსაქვეყნებელი ინდიკატორები

მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი და სიხშირე, გაჩერების ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილი, განთავსების საშუალება, ინფორმაციის წყარო, თანხმლები პირები, ტრანსპორტის საშუალებები, ვიზიტის ორგანიზება, პოპულარული აქტივობები, კმაყოფილების დონე.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ გვერდზე: www.gnta.ge

ვიზიტის მთავარი მიზანი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განთავსების საშუალებებში ღამისთევა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საშუალო გაჩერების ხანგრძლივობა ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	საშუალო ღამისთევა
რუსეთი	6.3
აზერბაიჯანი	2.5
სომხეთი	1.8
თურქეთი	1.6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის პოპულარული აქტივობები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანახარჯების სტრუქტურა

კომპონენტები	მთლიანი დანახარჯი ლარი (X1000)	დანახარჯის წილი
საკვები და სასმელი	2,266,881	28.6%
განთავსების საშუალებები	1,854,514	23.4%
რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობები	1,434,705	18.1%
შოპინგი	1,074,094	13.6%
ადგილობრივი ტრანსპორტი	560,769	7.1%
სხვა დანახარჯები	726,540	9.2%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პოპულარული ლოკაციები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ვიზიტორების მახასიათებლები

შიდა ვიზიტორებმა მოცემულ პერიოდში მთლიანობაში 13.1 მილიონი ვიზიტი განახორციელეს. ყველაზე მეტი ვიზიტი 24.7% თბილისიდან დაფიქსირდა.

შიდა ვიზიტების უმეტესობა საქართველოს მთავარი ქალაქების მიმართულებით განხორციელდა.

ვიზიტის ხანგრძლივობა და მიზნები

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 1.9 ღამეს შეადგენდა. თბილისის მკვიდრთა ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მაღალი იყო - 3.5 ღამე, ხოლო სხვა რეგიონებისთვის ეს მაჩვენებელი საშუალოდ ერთ ან ორ ღამეს შეადგენდა.

შიდა ვიზიტების დიდი ნაწილი 51.8% საქართველოს რეზიდენტებმა მეგობრების, ნათესავების მოსანახულებლად განახორციელეს. შოპინგი მოგზაურობის მთავარ მიზანს ვიზიტების 13.3%-ისთვის შეადგენდა, ასევე მნიშვნელოვანი წილით 10.5%-ით იყო წარმოდგენილი მკურნალობა და გაჯანსაღების მიზნით განხორციელებული ვიზიტები. რაც შეეხება დასვენება, გართობა და რეკრეაციას, ამ მიზნით განხორციელებულმა ვიზიტებმა 9.1% შეადგინა. სხვა ხშირად დაფიქსირებულ მიზნებს შორის იყო: მეორე სახლის მონახულება 7.3% და ბიზნესი, პროფესიული საქმიანობა 4.4%.

ვიზიტის დანიშნულების ადგილი

შიდა ვიზიტების 26.4% თბილისის მოსანახულებლად განხორციელდა. მას მოჰყვება ბათუმი 9.7% და ქუთაისი 8.3%. სხვა დანიშნულების ადგილებს შორის იყო რუსთავი 3%, მცხეთა 2%, გორი 1.7%, თელავი 1.4% და ხაშური 1.4%.

რეგიონებს შორის ყველაზე პოპულარული იმერეთი 18.2%, აჭარა 13.5% და კახეთი 7.6% იყო.

განთავსების საშუალებები

შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული ღამისთევების საერთო რაოდენობამ 24.9 მილიონი შეადგინა. მათ შორის, ვიზიტორებმა ღამისთევების 56.7% მეგობრის, ნათესავის ბინაში გაატარეს, 28.1% - საკუთარ სახლში, ხოლო 5.4% კი საოჯახო სასტუმროში.

დანახარჯები

შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამური მაჩვენებელი 1.7 მილიარდ ლარს აღემატებოდა, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეული საშუალო დანახარჯი 132.3 ლარს შეადგენდა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი 33.5% საყიდლებზე დაფიქსირდა.



26%
თბილისი – ყველაზე პოპულარული დანიშნულების ადგილი

10%
ბათუმი

8%
ქუთაისი

ძირითადი ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის მიზანს შიდა ვიზიტების სტრუქტურის განსაზღვრა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

მონაცემები დაფუძნებულია კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ჩატარდა. ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტები, რომელთაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში განხორციელებული ჰქონდათ ვიზიტი საქართველოში.

შიდა ტურიზმი-საქართველოს ტერიტორიაზე რეზიდენტების მიერ მათი ბუნებრივი გარემოს ფარგლებს გარეთ განხორციელებული ვიზიტი. იმისათვის, რომ ვიზიტს მიენიჭოს შიდა ვიზიტის კლასიფიკაცია, ერთდროულად ორი ლოკაციისა და რეგულარობის მეთოდი გამოიყენება. კერძოდ, ბუნებრივი გარემოს უკეთ წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი ფაქტია შიდა ვიზიტი განხორციელდა თუ არა მუნიციპალიტეტის გარეთ. მეორე მეთოდი განსაზღვრავს კონკრეტულად ვიზიტის სიხშირეს, თუ შიდა ვიზიტორი სტუმრობს სხვა მუნიციპალიტეტს უფრო იშვიათად ვიდრე ორ კვირაში ერთხელ, ეს ვიზიტი არ განიხილება, როგორც რეგულარული.

ძირითადი ინდიკატორები

საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი და სიხშირე, ვიზიტის ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილები, განთავსების საშუალებები, ინფორმაციის წყაროები, სატრანსპორტო საშუალებები, კმაყოფილების დონე, დანახარჯები.

დეტალური ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის **www.gnta.ge** და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე: **www.geostat.ge**

ასაკობრივი პროფილი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის მთავარი მიზანი



51.8%

შიდა ვიზიტების უმეტესობა მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად განხორციელდა

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის პოპულარული აქტივობები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განთავსების საშუალებებში ღამისთევა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის დანახარჯები

კომპონენტები	მთლიანი ხარჯი ლარი (x1000)	დანახარჯის წილი
საყიდლები	852,820	33.5%
საკვები და სასმელი	399,439	23%
ტრანსპორტი	305,105	17.6%
განთავსების საშუალება	86,876	5%
რეკრეაცია, კულტურული აქტივობები	25,696	1.5%
სხვა	338,026	19.4%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის ხანგრძლივობა

რეზიდენტობის ადგილი	საშუალო ხანგრძლივობა (ღამე)
თბილისი	3.5
გურია	2
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	1.7
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1.6
ქვემო ქართლი	1.6
კახეთი	1.5
აჭარა	1.1
სამცხე-ჯავახეთი	1
შიდა ქართლი	1
მცხეთა-მთიანეთი	0.6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მონახულებული რეგიონები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პოპულარული ლოკაციები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმი, ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია მომსახურებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და სწრაფად მზარდია მთელ მსოფლიოში. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2018 წელს ამ დარგის პირდაპირმა კონტრიბუციამ მთლიან მშპ-ში 2.8 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (3.2%) და ხელი შეუწყო 123 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 10.4%, ერთი ადგილი ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან, 4.4% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 6.5% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში (Economic Impact of Travel and Tourism 2019, Annual Update, WTTC).

ტურიზმი - უხილავი ექსპორტი

უცხოელი ვიზიტორების დანახარჯებს ქვეყანაში დიდი გავლენა აქვს საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე. დაახლოებით 71.8% საქართველოს სერვისის ექსპორტის შემოსავლებიდან ტურიზმზე მოდის. აქტივების მხარეს საგადამხდელო ბალანსი აღწერს საქართველოს შემოსავალს უცხოური ვიზიტორების მოგზაურობიდან საქართველოში, ხოლო ვალდებულების მხარეს აჩვენებს საქართველოს რეზიდენტების დანახარჯებს საზღვარგარეთ ყოფნის დროს.

2018 წელს შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 3.22 მილიარდ დოლარს (ზრდა +19.1%), ხოლო საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ ტურიზმზე 0.52 მილიარდი დოლარი შეადგინა (ზრდა +13.2%). შედეგად, უცხოური ტურიზმის ბალანსი საქართველოში შეადგენდა 2.7 მილიარდ დოლარს (ზრდა +20.4%).

2018 წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 2.14 მილიარდი ლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით +3.7%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

ტურიზმის წილი ეკონომიკაში

2018 წელს მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 2.68 მილიარდ ლარს მიაღწია გაზრდილი მოთხოვნის გამო (+21.5%). შედეგად, ტურიზმის წმინდა დამატებული ღირებულება, როგორც მშპ-ს წილი 6.8%-დან 7.6%-მდე გაიზარდა. 2018 წელს ტურიზმის სექტორში დამატებული ღირებულება ძირითადად შეიქმნა ტურისტულ კომპანიებში (+30.1%), ტრანსპორტში (საჰაერო ტრანსპორტის ზრდა +43.8%, სხვა ტრანსპორტი ზრდა +17.7%), კვების საშუალებებში (+16.3%) და განთავსების საშუალებებში (+12.4%).

ძირითადი გამოქვეყნებული ინდიკატორები

- ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში.
- ტურიზმის წილი მთლიან გამოშვებაში.
- უცხოური ვალუტის შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან.
- უცხოური ვალუტის დანახარჯები უცხოურ ტურიზმზე.
- უცხოური ტურიზმის ბალანსი.
- საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები.

უფრო დეტალური ინფორმაცია ტურიზმის ეკონომიკაში კონტრიბუციის შესახებ იხილეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის **www.geostat.ge** საქართველოს ეროვნული ბანკისა **www.nbg.gov.ge** და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ გვერდზე: **www.gnta.ge**



ტურიზმის წილი მშპ-ში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება 2015-2018 (ათასი ლარი)

	2015	2016	2017	2018	ცვლილება % 2017-2018
სულ	1,842,131	1,978,295	2,206,698	2,681,791	21.5%
მათ შორის	⬇	⬇	⬇	⬇	⬇
განთავსების ობიექტები	284,380	344,041	429,000	482,277	12.4%
კვების ობიექტები	409,548	478,084	520,518	605,584	16.3%
ტრანსპორტი	444,045	460,005	513,293	625,937	21.9%
ტურისტული კომპანიები	704,158	696,165	743,887	967,993	30.1%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები (ათასი ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 2015 - 2018 (ათასი აშშ დოლარი)

	2015	2016	2017	2018	ცვლილება % 2017 - 2018
სულ	1,868,479	2,110,709	2,704,340	3,222,074	19.1%
მათ შორის	⬇	⬇	⬇	⬇	⬇
I კვ.	305,180	342,590	425,673	550,730	29.4%
II კვ.	409,470	497,441	629,854	809,969	28.6%
III კვ.	742,849	813,161	1,078,274	1,210,561	12.3%
IV კვ.	410,979	457,517	570,538	650,814	14.1%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საავიაციო ბაზარი

საქართველოს საავიაციო ბაზარი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდის ტემპით გამოირჩეოდა. საქართველოში სამი საერთაშორისო და ორი შიდა აეროპორტი ფუნქციონირებს, რომლებიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებს. საქართველოს საავიაციო ბაზარი უმეტეს წილად საერთაშორისოა; ფრენების უმეტესი ნაწილი თბილისის აეროპორტზე მოდის.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებს მართავს თურქული კომპანია TAV Airports Holding Co. აეროპორტებმა ფუნქციონირება შესაბამისად 2007 წლის თებერვალში და მაისში დაიწყეს. 2011 წელს ოფიციალურად გაიხსნა მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი, ხოლო 2012 წლის სექტემბერში ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი. აღნიშნულ აეროპორტში პირველი ავიარეისი უნგრულმა ავიაკომპანიამ Wizz Air-მა კიევის მიმართულებით შეასრულა. საქართველოს ავიაბაზარზე ფრენებს ახორციელებდნენ შემდეგი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიები, რომლებსაც სატარიფო სქემებში გათვალისწინებული აქვთ დაბალი ტარიფები: Wizz Air, Air Arabia, Pegasus, FlyDubai, Pobeda Airlines, Air Baltic, Buta Airways, Salam Air, Flynas, Ukraine International Airlines, Skyup Airlines. საქართველოში არსებულ აეროპორტებს 2017 წელს ამბროლაურში კიდევ ერთი ადგილობრივი აეროპორტი დაემატა. საქართველოში აეროპორტების რიცხვი მომავალშიც გაიზრდება. მიმდინარეობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში უმოქმედო აეროდრომების, ვერტოდრომებისა და ასაფრენ-დასაფრენი ზოლების შესწავლა და შეფასება მათი სამომავლო ექსპლუატაციის მიზნით.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების გამტარუნარიანობა 3,000 და 600 მგზავრი/საათია შესაბამისად, ხოლო ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის 800 მგზავრი/საათი. რაც შეეხება მესტიის და ამბროლაურის აეროპორტებს, მათი დატვირთვა შესაბამისად 50 და 100 მგზავრია საათში.

ავიახაზები

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანახმად, Wizz Air Hungary არის უმსხვილესი კომპანია, რომელიც საქართველოს საავიაციო ბაზარზე საქმიანობს და მგზავრების ყველაზე დიდი რაოდენობა ჰყავს. 2018 წელს ამ კომპანიის მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ 587,179 (11.9%) შეადგინა. Turkish Airlines არის სიდიდით მეორე გადამყვანი კომპანია 559,749 (11.3%) მგზავრით. მგზავრების რაოდენობით მას მოსდევს Georgian Airways - 550,831 (11.1%); Ural Airlines - 294,000 (5.9%); FlyDubai - 250,296 (5.1%); Ukraine International Airlines - 223,106 (4.5%); Aeroflot - 194,675 (3.9%); S7 Airlines - 183,392 (3.7%); Pobeda Airlines - 178,783 (3.6%).

2018 წელს 56 საერთაშორისო და ორი შიდა ავიაკომპანია სთავაზობდა მგზავრებს კომფორტულ ფრენებს საქართველოდან.

საქართველოში მოქმედი ძირითადი ავიაკომპანიებია: Wizz Air, Turkish Airlines, Georgian Airways, Ural Airlines, FlyDubai, Ukraine International Airlines, Aeroflot, S7 Airlines, Pegasus, EL AL Israel Airlines, Qatar Airways, Belavia, Yan Air, Azerbaijan Airlines, QESHM Air, Zagros Airlines, Air Astana, Luftansa, LOT Polish Airlines და სხვა.

2018 წელს ერთი ქართული და ცხრა ახალი საერთაშორისო ავიაკომპანია შემოვიდა საქართველოს საავიაციო ბაზარზე, მათ შორისაა: ქართული ავიაკომპანია Myway Airlines, ომანის ავიაკომპანია Salam Air, საუდის არაბეთის ავიაკომპანია Flynas, უკრაინული ავიაკომპანია Skyup Airlines, რუმინული ავიაკომპანია TAROM, ქუვეითის ავიაკომპანიები Kuwait Airways და Jazeera Airways, რუსული ავიაკომპანია UVT Aero და ირანული ავიაკომპანია Iran Air. ჩარტერულ რეისებს ასრულებდნენ ქართული ავიაკომპანია Myway Airlines და იორდანიული ავიაკომპანია Fly Jordan.

ეს წელი გამოწვევებით სავსე იქნება საქართველოს საავიაციო ინდუსტრიისთვის, რადგან ახალი კომპანიები აპირებენ ბაზარზე შემოსვლას, ბევრი მოქმედი კომპანია გამოხატავს ფრენის სიხშირის გაზრდის ინტერესს.

2019 წელს დაგეგმილია რამდენიმე ახალი ავიაკომპანიის შემოსვლა საქართველოს ავიაბაზარზე, რომლებიც გეგმავენ ორმხრივი რეგულარული ფრენების დაწყებას. ფრანგული ავიაკომპანია Air France რეგულარულ ფრენებს თბილისიდან პარიზის მიმართულებით განახორციელებენ. ასევე ოპერირებას იწყებენ ინდური ავიაკომპანია IndiGo და უზბეკეთის ავიაკომპანია Uzbekistan Airlines. ავიაკომპანია Air Malta თბილისიდან მალტას მიმართულებით კვირაში ერთხელ განახორციელებს ფრენებს.

მოიცავს შემდეგ აეროპორტებს:
თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი, ამბროლაურის აეროპორტი.

+17.3%
24,606
რეისები

+23.5%
5,033,323
მგზავრები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ახალი ავიაკომპანიები 2018 (რეგულარული)

ავიახაზები	ფრენები	სიხშირე
My Airlines	თბილისი - ბუდაპეშტი - თბილისი	ორჯერ კვირაში
	თბილისი - რომი - თბილისი	ორჯერ კვირაში
	თბილისი - ხარკოვი - თბილისი	ორჯერ კვირაში
	ბათუმი - ხარკოვი - ბათუმი	ორჯერ კვირაში
	თბილისი - კიევი - თბილისი	სამჯერ კვირაში
	თბილისი - თელ ავივი - თბილისი	ოთხჯერ კვირაში
Salam Air	თბილისი - მუსკატი - თბილისი	სამჯერ კვირაში
Flynas	თბილისი - რიადი - თბილისი	სამჯერ კვირაში
	თბილისი - ჯედა - თბილისი	სამჯერ კვირაში
Skyup Airlines	ბათუმი - კიევი - ბათუმი	ერთხელ კვირაში
	თბილისი - კიევი - თბილისი	ორჯერ კვირაში
TAROM	თბილისი - ბუქარესტი - თბილისი	ორჯერ კვირაში
Kuwait Airways	თბილისი - ქუვეითი - თბილისი	ორჯერ კვირაში
Jazeera Airways	თბილისი - ქუვეითი - თბილისი	სამჯერ კვირაში
UVT Aero	თბილისი - ყაზანი - თბილისი	ორჯერ კვირაში
	ბათუმი - პერმი - ბათუმი	ორჯერ კვირაში
	ბათუმი - უფა - ბათუმი	ორჯერ კვირაში
Iran Air	თბილისი - თეირანი - თბილისი	ოთხჯერ კვირაში
	თბილისი - ისპახანი - თბილისი	ორჯერ კვირაში

წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ავიაკომპანიების წილობრივი განაწილება



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ახალი მიმართულებები საქართველოდან 2018

ავიახაზები	ფრენა	სიხშირე
Georgian Airways	თბილისი - ბარსელონა - თბილისი	ორჯერ კვირაში
	თბილისი - ბერლინი - თბილისი	ორჯერ კვირაში
	თბილისი - ბოლონია - თბილისი	ორჯერ კვირაში
	თბილისი - ბრატისლავა - თბილისი	ორჯერ კვირაში
	თბილისი - ბრიუსელი - თბილისი	ორჯერ კვირაში
	თბილისი - ყაზანი - თბილისი	სამჯერ კვირაში
	თბილისი - კიოლნი - თბილისი	ორჯერ კვირაში
	თბილისი - პარიზი - თბილისი	ორჯერ კვირაში
Myway Airlines	თბილისი - ბუდაპეშტი - თბილისი	ორჯერ კვირაში
	თბილისი - რომი - თბილისი	ორჯერ კვირაში
	თბილისი - ხარკოვი - თბილისი	ორჯერ კვირაში
	ბათუმი - ხარკოვი - ბათუმი	ორჯერ კვირაში
Pobeda Airlines	თბილისი - ეკატერინბურგი - თბილისი	ორჯერ კვირაში
	თბილისი - ყაზანი - თბილისი	ორჯერ კვირაში
	თბილისი - პერმი - თბილისი	სამჯერ კვირაში
	თბილისი - პეტერბურგი - თბილისი	შვიდჯერ კვირაში
	ბათუმი - როსტოვი - ბათუმი	ორჯერ კვირაში
Ural Airlines	თბილისი - კრასნოდარი - თბილისი	ორჯერ კვირაში
Yan Air	ბათუმი - ლვოვი - ბათუმი	ორჯერ კვირაში
	ბათუმი - ხარკოვი - ბათუმი	ორჯერ კვირაში
Wizz Air	ქუთაისი - ათენი - ქუთაისი	ორჯერ კვირაში
	ქუთაისი - ბარსელონა - ქუთაისი	სამჯერ კვირაში
	ქუთაისი - პარიზი - ქუთაისი	სამჯერ კვირაში
	ქუთაისი - პრაღა - ქუთაისი	ორჯერ კვირაში
	ქუთაისი - რიგა - ქუთაისი	ორჯერ კვირაში
	ქუთაისი - ვენა - ქუთაისი	ორჯერ კვირაში
	ქუთაისი - რომი - ქუთაისი	ორჯერ კვირაში
	ქუთაისი - ბუქარესტი - ქუთაისი	ორჯერ კვირაში
	ქუთაისი - ვროცლავი - ქუთაისი	ორჯერ კვირაში
RED WINGS	ქუთაისი - მოსკოვი - ქუთაისი	ერთხელ კვირაში
Iran Air	თბილისი - ისპაჰანი - თბილისი	ორჯერ კვირაში
Flynas	თბილისი - რიადი - თბილისი	სამჯერ კვირაში
	თბილისი - ჯედა - თბილისი	სამჯერ კვირაში

წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

განთავსების საშუალებების ბაზარი

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული განთავსების საშუალებების რაოდენობამ 2,390 შეადგინა, ხოლო საწოლი ადგილების რაოდენობამ 86,772. აჭარის რეგიონი ლიდერია - 26,019 (30%) საწოლი ადგილით, მას მოსდევს თბილისი - 21,144 (24.4%) რაოდენობით.

თბილისში რამდენიმე საერთაშორისო ბრენდის სასტუმროა: Radisson Blu Iveria Hotel, Tbilisi Marriott, Courtyard Marriott, Sheraton, Holiday Inn, Citadines Apart Hotel, Best Western Tbilisi, Mercure, Hotels and Preference, The Biltmore Hotel, Ibis Styles Tbilisi Center. 2018 წელს ამ სიას Best Western Tbilisi City Centre, Ramada Encore და Moxy by Marriott დაემატა.

საერთაშორისო ბრენდის სასტუმროები საქართველოს სხვა ქალაქებშიც იწყებენ ფუნქციონირებას. ბათუმში არსებულ საერთაშორისო ბრენდის სასტუმროებს 2018 წელს Best Western Premier Batumi დაემატა. ასევე საირმეში ფუნქციონირება დაიწყო Best Western Sairme Resorts. შეკვეთილში გაიხსნა პრემიუმ კლასის საერთაშორისო სასტუმრო Paragraph Resort & Spa Shekvetili, Autograph Collection.

STR გლობალის თანახმად, 2018 წელს საქართველოში ძირითადი სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი 63.3% იყო, ზრდამ წინა წელთან შედარებით +2.2% შეადგინა. ყველაზე მაღალი დატვირთვა აგვისტოსა და სექტემბერში - 81.3% და ივნისში - 77.5% დაფიქსირდა, ხოლო დაბალი იანვარში - 39.5%, თებერვალში - 43.9% და დეკემბერში - 44.2%.

ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს და დაგეგმილია რამდენიმე განთავსების ობიექტის მშენებლობა. თბილისში დაგეგმილია ისეთი ბრენდის სასტუმროების მშენებლობა, როგორიცაა: Hilton Garden Inn, Holiday Inn Express, Park Inn by Radisson, Ramada Encore, Hyatt Regency, Radisson Blu telegraph, Golden Tulip, Marriott Autograph Collection-Panorama freedom Square, Marriot Autograph Collection-Panorama Sololaki, Tabori Ridge Recreation & Golf Resorts, Pullman Hotels & Resorts, Windham Grand, Hilton Tbilisi. რეგიონებში აშენდება: Courtyard by Marriott (ბათუმი), Babylon Tower (ბათუმი), Le Meridien (ბათუმი), Swissotel (ბათუმი), Twin Tower (ბათუმი), Wellness Resort & Spa on Mtsvane Kontskhi (მწვანე კონცხი), Ramada Resorts (გოდერძი), Radisson Blu Gudauri (გუდაური), Rooms Hotel (ბაკურიანი), Radisson Blu Resort (წინანდალი), Golden Tulip (თელავი), Holiday Inn (თელავი), Ramada Encore (ქუთაისი) და სხვა.

მშენებლობის უმეტესობა მიმდინარეობს თბილისში, აჭარაში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთის რეგიონებში.

2018 წელს საწოლი ადგილების რაოდენობის ზრდის მიხედვით თბილისი ლიდერობს.
2018 წელს გაიხსნა 120-ზე მეტი ახალი განთავსების საშუალება 6,200-ზე მეტი საწოლი ადგილით. მათ შორის თბილისი ლიდერია 1,500-ზე მეტი დამატებითი საწოლი ადგილით (24%), შემდეგ მოდის გურია - 1,031 (16%) და იმერეთი 1,027 (16%).

ბრენდირებული სასტუმროების დიდი წილი (74%) თბილისზე და ბათუმზე მოდის. საქართველოში არსებული 34 ბრენდირებული სასტუმროდან 16 თბილისში ფუნქციონირებს და ქმნის 4,086 საწოლ ადგილს. შემდეგ მოდის ბათუმი ცხრა ბრენდირებული სასტუმროთი, რომელიც დამატებით ქმნის 2,350 საწოლ ადგილს, ხოლო დანარჩენი სასტუმროებიდან სამი ბორჯომში და თითო-თითო ბაკურიანში, საირმეში, შეკვეთილში, ქობულეთში, სტეფანწმინდასა და ქუთაისში ფუნქციონირებს ჯამში 2,144 საწოლი ადგილით.

საერთაშორისო ბრენდის სასტუმროების რაოდენობა ყოველწლიურად მკვეთრად იზრდება განსაკუთრებით რეგიონებში. 2018 წელს საქართველოში ექვსმა ახალმა საერთაშორისო ბრენდის სასტუმრომ დაიწყო ფუნქციონირება, აქედან სამი რეგიონში გაიხსნა. შეკვეთილში გაიხსნა პრემიუმ კლასის საერთაშორისო სასტუმრო Paragraph Resorts & Spa Shekvetili, Autograph Collection. ხოლო Best Western საერთაშორისო ბრენდის სასტუმროებმა ფუნქციონირება ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში დაიწყეს. 2019-2020 წლებში რეგიონებში ახალი ბრენდის სასტუმროების გახსნა იგეგმება, მათ შორის: ბათუმში, მწვანე კონცხზე, გოდერძიზე, გუდაურში, ბაკურიანში, წინანდალში, თელავსა და ქუთაისში.

Airbnb-ის საიტზე რეგისტრირებული განთავსების საშუალებების რაოდენობა იზრდება (Colliers International) მსოფლიოში ცნობილ განთავსების საშუალებების დაბრონვის საიტზე Airbnb საქართველოში რეგისტრირებული ქონების რაოდენობა ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება. 2018 წელს, თბილისის ქონების საშუალო რაოდენობა საგრძნობლად, 63%-ით გაიზარდა და 10,289-ს მიაღწია, საიდანაც თვეში საშუალოდ მხოლოდ 3,669 ქონება დაიჯავშნა. მიუხედავად საშუალო თვიური მოთხოვნის 88%-იანი ზრდისა, თბილისის Airbnb-ის ბაზარზე დატვირთულობის დაბალი მაჩვენებელია, რაც უკვე აუთვისებელი მიწოდების სწრაფი ზრდის შედეგია.

ანგარიშში ბრენდის სასტუმროებში იგულისხმება:
Best Western Tbilisi; Citadines Apart'hotel; Courtyard Marriott Hotel; Crowne Plaza Borjomi; Divan Suites Batumi; Hilton Hotels & Resorts; Holiday Inn Tbilisi; Hotels and Preference Hualing Tbilisi; Mercure Tbilisi Old Town; Radisson Blu Hotel, Batumi; Radisson Blu Iveria Hotel, Tbilisi; Borjomi Likani Hotel; Rooms Hotel Kazbegi; Rooms Hotel Tbilisi; Sheraton Batumi Hotel; Sheraton Metechi Palace Hotel, Tbilisi; Tbilisi Marriott Hotels; The Biltmore Hotel Tbilisi; Golden Tulip Borjomi; Ibis Styles Tbilisi centre, Tbilisi; Best Western Kutaisi; Best western Plus Bakuriani, Bakuriani; Best Western Plus Batumi, Batumi; Wyndham Batumi, Batumi; Euphoria Hotel, Batumi; Sky Tower Hotel Batumi; Ramada Encore,Tbilisi; Moxy by Marriot, Tbilisi; Best Western Sairme Resort, Sairme; Best Western Tbilisi city Centre,Tbilisi; Best Western Premier batumi, Batumi; Georgia Palace Hotel &Spa Kobuleti, Kobuleti; Stamba Hotel, Tbilisi; Marriott Autograph Collection-Hotel & Spa Resort, Shekvetili.

განთავსების საშუალებების განაწილება



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საწოლი ადგილების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

განთავსების საშუალებები ოთახების რაოდენობისა და რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

დატვირთვის კოეფიციენტი



წყარო: STR

დატვირთვის კოეფიციენტი დათვლილია შემდეგი სასტუმროების გათვალისწინებით:
Leogrand Hotel, Crowne Plaza Borjomi, Divan Suites Batumi, Ambassadori Tbilisi Hotel, Citadines City Centre Tbilisi, Courtyard Tbilisi, Ibis Styles Tbilisi Center, Mercure Tbilisi Old Town, Hotel Citrus, Marriott Tbilisi Hotel, Millenium The Biltmore Tbilisi, Radisson Blu Iveria Hotel Tbilisi, ROOMS HOTEL Tbilisi, The Shota Hotel, The Grove Design Hotel, Ramada Encore Tbilisi, Ameri Plaza, Hotels & Preference Hualig Tbilisi, Holiday Inn Tbilisi, Wyndham Batumi, Radisson Blu Hotel Batumi, Sheraton Hotel Batumi, Hilton Batumi, Georgia Palace Hotel & Spa, Golden Tulip Borjomi, MOXY Tbilisi, Iota Hotel Tbilisi, Paragraph Resort & Spa Shekvetili Autograph Collection, Best Western Kutaisi.

2018 წელს გახსნილი სასტუმროები

RAMADA ENCORE / თბილისი
AKHASHENI WINE RESORT / გურჯაანი
MOXY BY MARRIOTT / თბილისი
HOTEL PORTA CAUCASIA KAZBEGI / სტეფანწმინდა
TIMBER BOUTIQUE HOTEL / თბილისი
STAMBA HOTEL / თბილისი
GREEN TOWER HOTEL / თბილისი
THE GRAND GLORIA / ბათუმი
TBILISI PARK HOTEL / თბილისი
BEST WESTERN SAIRME RESORTS / საირმე
BEST WESTERN TBILISI CITY CENTRE / თბილისი
STANCIA KAZBEGI / სტეფანწმინდა
MARRIOT AUTOGRAPHCOLLECTION-HOTEL & SPA RESORT / შეკვეთილი
HOTEL TERRACE KUTAISI / ქუთაისი
BEST WESTERN PREMIER BATUMI / ბათუმი
MOUNT INN KAZBEGI / სტეფანწმინდა
BRIDGE BOUTIQUE HOTEL TBILISI / თბილისი
HOTEL BM PLAZA / ბაკურიანი
FOLK BOUTIQUE HOTEL / თბილისი
KING GORGASALI HOTEL / თბილისი

6,200+
საწოლი

დაგეგმილი განთავსების ობიექტების მშენებლობები 2019 / 2021

ROOMS HOTEL / ბათუმი
HILTON GARDEN INN / თბილისი
PARK INN BY RADISSON / თბილისი
WYNDHAM GRAND / თბილისი
PULLMAN HOTELS & RESORT / თბილისი
HYATT REGENCY / თბილისი
HILTON TBILISI / თბილისი
RADISSON BLU TSINANDALI / წინანდალი
BABYLON TOWER / ბათუმი
RADISSON BLU GUDAURI / გუდაური
COURTYARD BY MARRIOTT / ბათუმი
RADISSON BLU TELEGRAPH / თბილისი
RAMADA ENCORE / თბილისი
GOLDEN TULIP / თბილისი
MARRIOTT AUTOGRAPH COLLECTION PANORAMA FREEDOM SQUARE / თბილისი
MARRIOTT AUTOGRAPH COLLECTION - PANORAMA SOLOLAKI / თბილისი
SWISSOTEL / ბათუმი
LE MERIDIEN HOTELS / ბათუმი
PORTA BATUMI TOWER / ბათუმი
TWIN TOWER / ბათუმი
TABORI RIDGE RECREATION & GOLF RESORT / თბილისი
GOLDEN TULIP / თელავი
RAMADA RESORTS / გოდერძი
WELLNESS RESORTS & SPA ON MTSVANE KONTSKHI / მწვანე კონცხი
RAMADA ENCORE / ქუთაისი
HOLIDAY INN / თელავი
ROOMS HOTEL / ბაკურიანი

27,400+
საწოლი

დაცული ტერიტორიები

დაცული ტერიტორიების ძირითადი ფუნქცია ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაა. მათ სხვა მრავალი ფუნქციაც აქვთ, ერთ-ერთი კი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაა. საზოგადოებისთვის ნათელი ხდება, რომ დაცული ტერიტორიები წარმოადგენენ არა შემოღობილ და ყველასათვის აკრძალულ ზონებს, არამედ მათი გამოყენება შესაძლებელია ტურისტული მიზნებითაც.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში შექმნილია: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 12 ეროვნული პარკი, 40 ბუნების ძეგლი, 19 აღკვეთილი და ერთი დაცული ლანდშაფტი. საქართველოში 86 დაცულ ტერიტორიას ქვეყნის მთლიანი ფართობის 9.55% (665,664 ჰა) უკავია.

2018 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებს 1,108,503 ვიზიტორი ესტუმრა, ზრდა წინა წელთან +16.1%-ს შეადგენს. აქედან უცხოელი ვიზიტორების წილი 48%-ია.

ყველაზე მეტი ვიზიტორი პრომეთეს მღვიმეს - 185,516 (16.7%), ყაზბეგის ეროვნულ პარკს - 174,520 (15.7%) და მარტვილის კანიონს - 174,143 (15.7%) ესტუმრა. პრომეთეს, ოკაცეს, მარტვილის, თუშეთის, ჭაჭუნას, მტირალასა და მაჭახელას დაცულ ტერიტორიებზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა აღემატებოდა ქართველ ვიზიტორთა რაოდენობას. შესაბამისად, უცხოელი ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა ასევე პრომეთეს მღვიმეს და მარტვილის კანიონს სტუმრობდა.

უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობამ დაცულ ტერიტორიებზე 529,023 შეადგინა, ზრდამ კი +28.2%. უცხოელ ვიზიტორებს შორის სჭარბობდნენ შემდეგი ქვეყნის ვიზიტორები: რუსეთი (27%), ისრაელი (13%), პოლონეთი (8%), გერმანია (8%) და უკრაინა (7%).

დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 8,436,125 ლარი შეადგინა, ზრდა წინა წელთან შედარებით +87.3%-ია. შემოსავლების მიღების მხრივ ლიდერობდნენ: პრომეთეს მღვიმე - 3,737,605 ლარი, მარტვილის კანიონი - 2,558,970 ლარი, ოკაცეს კანიონი - 951,108 ლარი და სათაფლია - 813,317 ლარი.

ძირითადი ინფორმაცია

დაცული ტერიტორიები იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად; დაცული ტერიტორიები ასევე გამოიყენება სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული მიზნებისათვის.

დაცული ტერიტორიების განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანო დაცული ტერიტორიების სააგენტოა. მისი საქმიანობის სფეროს სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების, დაცული ლანდშაფტების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების სისტემის მართვა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

ვიზიტორები დაცულ ტერიტორიებზე სტუმრობისას ავსებენ სარეგისტრაციო ფორმებს (წარმომავლობა, ასაკი, სქესი და ა.შ). ვიზიტორთა ცენტრებში, აღნიშნული მონაცემები ტერიტორიული ადმინისტრაციების მიხედვით გროვდება და მუშავდება დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

დაცული ტერიტორიების კატეგორიებია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

სახელმწიფო ნაკრძალი - მკაცრი დაცვა, საგანმანათლებლო და არამანიპულაციური კვლევები სპეციალური ნებართვით. ამ ტერიტორიაზე ტურისტული აქტივობები არ არის დაშვებული.

ეროვნული პარკი - ეკოსისტემის კონსერვაცია, განათლება, ტურიზმის განვითარება.

ბუნების ძეგლი - ბუნების თავისებურებების კონსერვაცია (მცირე ზომის განსაკუთრებული ტერიტორიის დაცვა).

აღკვეთილი - ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით.

დაცული ლანდშაფტი - ლანდშაფტის და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და ტურიზმის განვითარება.

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება.

დაცული ტერიტორიების სტატისტიკა მოწოდებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ. დეტალური ინფორმაცია იხილეთ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ გვერდზე: **www.apa.gov.ge**

ვიზიტორთა სტატისტიკა წლების მიხედვით



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ვიზიტორები ეროვნების მიხედვით

	2015	2016	2017	2018	ცვლილება % 2017-2018
სულ	518,218	734,874	954,692	1,108,503	16.1%
უცხოელები	181,329	310,477	412,529	529,023	28.2%
ქართველები	336,889	424,397	542,163	579,480	6.9%

წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ვიზიტორები დაცული ტერიტორიების მიხედვით



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ქართველი და უცხოელი ვიზიტორების განაწილება დაცულ ტერიტორიებზე



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

შემოსავლების სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით (ლარი)



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

სექტორის მიმოხილვა

მიუხედავად ბევრი საერთაშორისო თუ შიდა დაბრკოლებისა საქართველოში ტურიზმის სექტორმა ზრდა კვლავ განაგრძო. მომავლისთვის პროგნოზები ოპტიმისტურია. მოსალოდნელია საერთაშორისო შემოსვლების, ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, რაც საქართველოს მთავრობის და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის აქტიური მუშაობის შედეგად გახდება შესაძლებელი. ამ კუთხით მნიშვნელოვანია 2015 წელს მომზადებული საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზანსაც სწორედ ტურიზმიდან მეტი ეკონომიკური სარგებლის მიღება წარმოადგენს.



ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული აქტივობები მოიცავს: ტურიზმის მცირე ინფრასტრუქტურის განვითარებას, მომსახურების ხარისხის ზრდას, მასშტაბურ მარკეტინგულ კამპანიებს შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე, ახალი ბაზრების ათვისებასა და ტურისტული პროდუქტების განვითარებას.

ტურისტული მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებში განიხილება. 2018 წელს პროექტ ,,ღვინის გზაში'' ჩაერთო დამატებით 41 ახალი ღვინის ტურიზმის ობიექტი. საერთო ჯამში ამ ეტაპზე ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 165 ობიექტს. საქართველოში არსებულ 20 ტურისტულ საინფორმაციო ცენტრს დაემატა ერთი საინფორმაციო ცენტრი სტეფანწმინდაში. 2018 წელს მოხდა პანკისის ხეობის მოკვლევა და სამთო-საფეხმავლო ბილიკების მარკირების პროექტების შემუშავება. შატილსა და მის შემოგარენში განხორციელდა საინფორმაციო დაფებისა და მიმართულების მანიშნებლების მონტაჟი.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს მასშტაბით განხორციელდა ინტენსიური ტრენინგები ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის. 2018 წელს გადამზადების კურსები გაიარა 1,300-მდე ადამიანმა შიდა და ქვემო ქართლის, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, გურიის, იმერეთის რეგიონებში. სასწავლო კურსები განხორციელდა შემდეგ თემატიკებზე: გიდის უნარ-ჩვევები, მარკეტინგი და გაყიდვების მხარდაჭერა, ჰიგიენა და უსაფრთხოება, ღვინო და კულინარია, საოჯახო სასტუმროს მართვა, შშმპ მომსახურების უნარ-ჩვევები, პირველადი სამედიცინო დახმარება, საბაზისო ინგლისური ენის კურსები, მართვის უნარ-ჩვევები მენეჯერებისთვის. განხორციელდა მარკეტინგული კამპანია ,,კეთილი განწყობით''.

ტურიზმით დაინტერესებულ პირთათვის გამოიცა სახელმძღვანელო შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად მესამე გამოცემა ქართულ ენაზე. ასევე მომზადდა, ,,ღვინის გზის'' ინგლისურ და რუსულენოვანი კატალოგები, სადაც შესულია ქართული მეღვინეობის და პროექტში ჩართული ობიექტების შესახებ ინფორმაცია.

შიდა ტურიზმის სტიმულირების მიზნით, 2018 წელს პროექტ ,,გაიცანი საქართველოსა'' და ,,საიმედო ტურის'' ფარგლებში ჩატარდა 17 პრეს-ტური ცხრა სხვადასხვა რეგიონში. აღნიშნული პრეს-ტურის ფარგლებში, ჟურნალისტებმა მოინახულეს რეგიონები და მოამზადეს სიუჟეტები, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციასა და შიდა ტურიზმის სტიმულირებას.

ასევე, განხორციელდა პროექტი ,,Discount Week", რომელიც მოიცავდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ტურისტული სერვისების ფასდაკლების კვირეულს. პროექტის ფარგლებში გაიმართა სამი პრეს-ტური. პროექტმა ფასდაკლებების კვირეულში მონაწილე სასტუმროებს ხელი შეუწყო დამსვენებლების მოზიდვაში.

შიდა ტურიზმის წახალისების მიზნით, ადმინისტრაციამ ასევე განახორციელა სხვადასხვა ღონისძიებები: ,,პანკისობა 2018'' ახმეტაში, საერთაშორისო ღვინის ფესტივალი გურჯაანში, ,,წირა სკი-ქროსი'', 26 მაისის ღონისძიება, ველომარათონი, სათავგადასავლო ტურნირი ვარძიაში, ზამთრის სეზონების გახსნის ღონისძიებები გუდაურსა და მესტიაში და მედიატურნირი ,,გაიცანი საქართველო''.

2018 წელს ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო 24 საერთაშორისო და შიდა ტურისტულ გამოფენაში, ჩაატარა 150 პრეს და გაცნობითი ტური (800 ჟურნალისტი, ბლოგერი, გადამღები ჯგუფი და 285 ტურ-ოპერატორი). პრეს და გაცნობითი ტურების შედეგად მომზადდა 1,000-ზე მეტი სტატია, პოსტი და ბლოგი და 150 სატელევიზიო გადაცემა და სიუჟეტი. გარდა ამისა, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ აწარმოა სარეკლამო კამპანია საერთაშორისო ონლაინ პლატფორმა Tripadvizor.com-ზე 15 ქვეყანაში (პოლონეთი, ისრაელი, იტალია, გერმანია, რუსეთი, თურქეთი, აშშ, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო, შვედეთი, ნორვეგია, დანია, ესტონეთი, ლიეტუვა, ლატვია), Expedia-ზე ოთხ ქვეყანაში (აშშ, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და გერმანია), Lonely Planet -ზე ევროპის ქვეყნებში, National Geographic - ზე ევროპისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში და აწარმოა ონლაინ კამპანია Emotions are Georgia (Youtube, Facebook, Instagram) 11 ქვეყანაში (გერმანია, იტალია, ისრაელი, პოლონეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები და საქართველო). გაიმართა პრეზენტაციები სხვადასხვა ქვეყნებში (ავსტრია, ჩეხეთი, ესპანეთი, იტალია, ნიდერლანდები, საფრანგეთი და გერმანია). გარდა ამისა მიმდინარეობს სარეკლამო კამპანია მსოფლიოს წამყვან ტელეარხებზე, მათ შორისაა: CNN, Euronews და BBC.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არსებული ბაზრების შენარჩუნებასთან ერთად კონცენტირებულია ახალი ბაზრების ათვისებაზე, მათ შორისაა გალფის ქვეყნები და ჩინეთი, რომელთაც დიდი პოტენციალი გააჩნიათ.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს, როგორც ქვეყანაში არსებული საქმიანი ტურიზმის განვითარებაზე, ასევე, საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ამაღლებაზე. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ფარგლებში ოფიციალურ ფუნციონირებას აგრძელებს საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიურო. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, ავსტრიული კომპანია ENITED-ისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს მიერ შემუშავდა საქართველოს საქმიანი ტურიზმის პირველი სტრატეგია.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი წარმატება იყო საერთაშორისო კონგრესებისა და კონვენციების ასოციაციის (ICCA) რეიტინგში კავკასიის რეგიონში პირველი ადგილის დაკავება. ამასთან,

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ბოლოს, საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს ორგანიზებითა და International Congress and Convention Association (ICCA) - ს ჩართულობით, თბილისში პირველად გაიმართა ,,Georgia International Meetings Forum in Partnership with ICCA", რომლის ფარგლებშიც განხილული იქნა: საკონვენციო ცენტრის არსებობის მაღალი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის ზრდის თვალსაზრისით, გლობალური შეხვედრების ინდუსტრიის თანამედროვე გამოწვევევები და ტენდენციები, კონფერენციების მოზიდვისთვის ,,Bidding" პროცედურები და გლობალური შეხვედრების ინდუსტრიაში სტრატეგიული გეგმები.

საქართველოს წარმატებული წელი ჰქონდა ტურიზმის დარგში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. 2018 წელს იანვრიდან, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ესპანეთში ბატონმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა, 4 წლის ვადით (2018-2021), დაიკავა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) გენერალური მდივნის თანამდებობა.

2018 წელს საქართველოში არაერთი ღონისძიება ჩატარდა. პროექტ Check in Georgia-ს ფარგლებში 300 - ზე მეტი ღონისძიება გაიმართა, აქედან ისეთი მნიშვნელოვანი ფესტივალები და ღონისძიებები როგორებიცაა: MersedesBenz Fashion Week", „Blues Fest", „Echowaves", „4GB", „Summer Set", მიუზიკლი ,,Welcome to Georgia", გამოფენა „KOLGA TBILISI PHOTO", კულტურული ღამის ტურები, დათო ევგენიძის ტურნე რეგიონებში, ,,ფუძეობა'', „არტარეა ფესტი'', „Tbilisi Open Air 2018", „ფერების ფესტივალი'', ,,Tbilisi Art Fair" და სხვა.

აღსანიშნავია, რომ პროექტ Check-in Georgia-ს ფარგლებში საქართველოს ეწვია ლეგენდარული კომპოზიტორი ენიო მორიკონე. ,,ბლექსი არენას'' 2018 წლის სეზონი, მაესტრომ რომის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გახსნა. 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, თბილისში, ლოკომოტივის სტადიონზე ბრიტანელი სუპერვარსკვლავის ჯეიმს ბლანტის კონცერტი გაიმართა.

2019 წელს დაგეგმილი ღონისძიებები

2019 წლის იანვარში საქართველო მსოფლიო გიდების ასოციაციების კონგრესს უმასპინძლებს. კონგრესში მონაწილეობას 70 ქვეყნიდან 300-დან 500-მდე დელეგატი მიიღებს. აღნიშნული კონგრესის საქართველოში ჩატარება ტურიზმის სექტორის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია და ქვეყანაში გიდების პროფესიის განვითარებას დაეხმარება. 2019 წელს დაგეგმილი კონგრესის მასპინძელ ქვეყნად საქართველოს კანდიდატურა გიდების ასოციაციამ ირანში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით წარადგინა. საქართველოს კონკურენციას უწევდნენ ტაილანდისა და ნიუ-იორკის გიდების ასოციაციები. სხვადასხვა ქვეყნის დელეგატებს შორის, საქართველოს კანდიდატურამ ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურა და კენჭისყრის შედეგად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

ასევე, 2019 წელს საქართველოს ექიმთა ასოციაცია უმასპინძლებს მსოფლიოს სამედიცინო ასოციაციის გენერალურ ანსამბლეასა და საბჭოს 213-ე სხდომას.

ქვეყანა	2017	2018	ცვლილება %
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	7,902,509	8,679,544	9.8%
სხვა ვიზიტები (არატურისტული)	1,419,679	1,476,194	4.0%
საერთაშორისო ვიზიტები	6,482,830	7,203,350	11.1%
მათ შორის	⬇	⬇	⬇
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა	4,136,093	4,586,233	10.9%
აზერბაიჯანი	1,301,556	1,424,610	9.5%
რუსეთი	1,135,057	1,404,757	23.8%
სომხეთი	1,287,168	1,268,886	-1.4%
უკრაინა	169,862	177,058	4.2%
პოლონეთი	48,913	66,903	36.8%
ბელარუსი	42,149	60,241	42.9%
ყაზახეთი	47,241	58,955	24.8%
ლიეტუვა	14,565	18,693	28.3%
ლატვია	11,805	17,653	49.5%
ჩეხეთი	9,435	13,575	43.9%
თურქმენეთი	9,770	10,216	4.6%
ბულგარეთი	11,022	10,211	-7.4%
ესტონეთი	5,572	10,036	80.1%
უზბეკეთი	13,040	8,312	-36.3%
მოლდოვა	8,164	7,548	-7.5%
სხვა	20,774	28,579	37.6%
ჩრდილოეთ ევროპა	42,400	54,780	29.2%
გაერთიანებული სამეფო	22,392	29,406	31.3%
შვედეთი	6,034	8,080	33.9%
ნორვეგია	3,700	5,219	41.1%
სხვა	10,274	12,075	17.5%
სამხრეთ ევროპა	49,808	60,589	21.6%
საბერძნეთი	18,276	19,722	7.9%
იტალია	13,425	17,435	29.9%
ესპანეთი	7,541	10,996	45.8%
სხვა	10,566	12,436	17.7%
დასავლეთ ევროპა	88,840	128,641	44.8%
გერმანია	43,090	64,486	49.7%
საფრანგეთი	16,053	21,765	35.6%
ნიდერლანდები	11,646	18,204	56.3%
ავსტრია	6,998	9,323	33.2%

ბელგია	4,972	7,442	49.7%
შვეიცარია	5,798	7,003	21.3%
სხვა	283	388	37.1%
აღმოსავლეთ/ხმელთაშუა ევროპა	1,123,698	1,257,355	11.9%
თურქეთი	1,007,276	1,098,555	9.1%
ისრაელი	115,040	156,922	36.4%
სხვა	1,382	1,878	35.9%
კარიბი	423	709	67.6%
ცენტრალური ამერიკა	246	383	55.7%
ჩრდილოეთ ამერიკა	38,610	49,238	27.5%
ამერიკის შეერთებული შტატები	33,569	41,863	24.7%
კანადა	4,483	6,448	43.8%
სხვა	558	927	66.1%
სამხრეთ ამერიკა	3,206	4,858	51.5%
ჩრდილო-აღმოსავლეთ აზია	31,344	53,805	71.7%
ჩინეთი	18,179	31,855	75.2%
კორეის რესპუბლიკა	6,257	13,278	112.2%
სხვა	6,908	8,672	25.5%
ოკეანეთი	5,024	7,343	46.2%
სამხრეთ აზია	336,043	353,490	5.2%
ირანი	282,549	291,070	3.0%
სხვა	53,494	62,420	16.7%
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია	24,737	29,993	21.2%
ფილიპინები	19,100	21,673	13.5%
სხვა	5,637	8,320	47.6%
ახლო/შუა აღმოსავლეთი	131,533	125,773	-4.4%
საუდის არაბეთი	45,708	51,879	13.5%
ქუვეითი	11,156	14,939	33.9%
არაბთა გაერთიანებული საემიროები	12,106	12,377	2.2%
იორდანია	12,680	11,809	-6.9%
სხვა	49,883	34,769	-30.3%
აღმოსავლეთ აფრიკა	2,789	2,091	-25.0%
დასავლეთ აფრიკა	745	1,015	36.2%
სამხრეთ აფრიკა	1,743	2,392	37.2%
ჩრდილოეთ აფრიკა	2,797	2,655	-5.1%
ცენტრალური აფრიკა	119	203	70.6%
სხვა ქვეყნები	462,632	481,804	4.1%

ტურისტული ტერმინები

აგენტი - პირი ან კომპანია (შემომყვანი ტუროპერატორი, ბითუმად ან საცალოდ მოვაჭრე), რომელიც ყიდის პროდუქტს მფლობელის ნაცვლად.

ბიზნეს ვიზიტორი - არის ვიზიტორი, რომლის ტურისტული ვიზიტის მთავარი მიზანი ბიზნესი და პროფესიული საქმიანობაა.

ბიზნეს ტურიზმი - აერთიანებს ვიზიტორებს, რომლებიც მოგზაურობენ ყრილობებისთვის, კონფერენციებისთვის, სემინარებისთვის, ვორქშოფებისთვის, სიმპოზიუმებისთვის, გამოფენებისა და სპეციალური ღონისძიებებისთვის.

გამყვანი ტურიზმი - რეზიდენტის მოგზაურობა თავისი ქვეყნიდან საერთაშორისო ტურისტული ადგილისკენ.

გრძელ დისტანციაზე მოგზაურობა - საერთაშორისო მოგზაურობა ტურისტულ ადგილამდე, რომლის ხანგრძლივობა ხუთ საათზე მეტია.

დისტრიბუცია - არხები ან ადგილები, რომელთა საშუალებითაც მომხმარებელი პროდუქტს შეისყიდის.

ერთდღიანი ვიზიტორი - ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე.

ეროვნული ტურიზმი - ეროვნული ტურიზმი მოიცავს შიდა და გამყვან ტურიზმს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეზიდენტი ვიზიტორების აქტივობას მოცემული ქვეყნის შიგნით და გარეთ.

კვლევა - პროცესი, რომლის დროსაც შერჩევის შესახებ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე სტატისტიკური მეთოდოლოგიის სისტემატური გამოყენების გზით ხდება პოპულაციის მახასიათებლების დადგენა.

მეგობრების და ნათესავების მონახულება (VFR) - ვიზიტორები, რომელთა მოგზაურობის ძირითადი მიზანია მეგობრების და ნათესავების მონახულება.

მოკლე დისტანციაზე მოგზაურობა - საერთაშორისო მოგზაურობა ტურისტულ ადგილამდე, რომლის ხანგრძლივობა ხუთ საათზე ნაკლებია.

ონლაინ დისტრიბუცია - ინტერნეტისა და ვებ-გვერდების გამოყენება მომხმარებლამდე პროდუქტის მიწოდებისა და პრომოუშენისათვის.

ოპერატორი - ტურისტული პროდუქტის მფლობელი ან მენეჯერი.

რეზიდენტობის ქვეყანა - შინამეურნეობის რეზიდენტობის ქვეყანა განისაზღვრება იმის მიხედვით თუ სადაა შინამეურნეობის წევრების ეკონომიკური ინტერესების ცენტრი. თუ ინდივიდი ცხოვრობს ერთ წელზე მეტი დროით ქვეყანაში და მისი ეკონომიკური ინტერესების ცენტრი ეს ქვეყანაა, (სადაც დროის უმეტეს ნაწილს ატარებს) ის ითვლება აღნიშნული ქვეყნის რეზიდენტად.

საერთაშორისო ვიზიტორი - 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით.

საერთაშორისო მოგზაური - ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით. ის გამორიცხავს საქართველოს რეზიდენტ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს და მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხო ქვეყნის რეზიდენტები არიან.

საერთაშორისო ტურიზმი - მოიცავს შემომყვან და გამყვან ტურიზმს. იგი აერთიანებს ერთი მხრივ, ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ახორციელებენ ქვეყნის რეზიდენტები ქვეყნის საზღვრებს გარეთ როგორც შიდა ასევე გამყვანი ტურიზმის ფარგლებში. ასევე მოიცავს ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ახორციელებენ სხვა ქვეყნის რეზიდენტები ქვეყანაში შემომყვანი ტურიზმის ფარგლებში.

საკომისიო - გადასახადი, რომელსაც უხდიან აგენტს პროდუქტის ბაზარზე მიწოდებისთვის, დისტრიბუციის და გაყიდვის სანაცვლოდ.

სრულიად დამოუკიდებელი მოგზაური - მოგზაურები, რომლებიც თვითონ გეგმავენ თავიანთ მოგზაურობას. არსებობს დამოუკიდებელი მოგზაურობის სხვადასხვა ტიპები: მეგობრებისა და ნათესავების მონახულება, ზურგჩანთით მოგზაურობა და ნაწილობრივი პაკეტით მოგზაურობა.

ტურიზმის დისტრიბუციის სისტემა - დამოუკიდებელი ბიზნესების გლობალური ქსელი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს მოძებნოს და დაჯაშვნოს მოგზაურობა.

ტურისტი - ვიზიტორი, რომლის მოგზაურობა მოიცავს ღამისთევას.

ტურისტული ადგილი - ტურისტული პროდუქტისა და ადგილის ერთობლიობა.

ტურისტული დანახარჯები - აღნიშნავს იმ თანხას, რომელიც გადახდილია ტურისტული მოგზაურობის დროს საქონელსა და მომსახურებაში, ასევე ძვირფას ნივთებში, რომელიც განკუთვნილია ან პირადი მოხმარებისათვის ან საჩუქრად გადასაცემად. აქ იგულისხმება როგორც თვით ვიზიტორების მიერ გაწეული დანახარჯები, ისე სხვების მიერ დაფარული ან ანაზღაურებული ხარჯები.

ტურისტული ვიზიტის მთავარი მიზანი - ტურისტული ვიზიტის მთავარი მიზანი არის მიზანი, რომლის არ არსებობის შემთხვევაშიც ტურისტული ვიზიტი არ შედგებოდა.

ტურისტული ინდუსტრია - ყველა ბიზნესი, რომელიც ჩართულია ტურიზმში, სადისტრიბუციო აგენტებისა და პროდუქტის მიმწოდებლის ჩათვლით.

შემომყვანი ტურიზმი - საერთაშორისო ტურისტული ნაკადების შემოსვლა ქვეყანაში, ასევე ცნობილია როგორც ექსპორტ-ტურიზმი.

შემომყვანი ტუროპერატორი (ITO) - დამაკავშირებელი რგოლი ტურისტული პროდუქტის მფლობელსა და უცხოურ კომპანიას შორის.ის ქმნის ტურისტულ პაკეტს და ყიდის მას პირდაპირ მომხმარებელზე ან უცხოურ კომპანიაზე.

შერჩევა - პოპულაციის ქვესიმრავლე, სადაც ელემენტების შერჩევა ხდება წინასწარ განსაზღვრული ალბათობით.

შეხვედრისა და წახალისების მგეგმავი - ორგანიზებას უწევს შეხვედრის, წახალისების და ღონისძიების ყველა ასპექტს.

შიდა ტურიზმი - რეზიდენტი ვიზიტორების აქტივობა მოცემული ქვეყნის შიგნით.

ჩვეული გარემო - ჩვეული გარემო, ტურიზმში ძირითადი კონცეფციაა და განისაზღვრება, როგორც გეოგრაფიული არეალი, რომლის ფარგლებშიც ინდივიდი აწარმოებს რეგულარულ ცხოვრების რუტინას.

ჩვეული რეზიდენტობის ადგილი - ჩვეული რეზიდენტობის ადგილი არის გეოგრაფიული ადგილი სადაც ადამიანი ჩვეულებრივ ცხოვრობს.

წამახალისებელი მოგზაურობა - წამახალისებელი მოგზაურობა არის მგზავრობა, რომელსაც პრიზის ან ჯილდოს სახით სთავაზობენ კარგი შედეგების მქონე თანამშრომლებს ან გაყიდვების აგენტებს.

ანგარიში მომზადდა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველოს მიერ

სამმართველოს უფროსი: გიორგი ბრეგაძე
g.bregadze@gnta.ge

მთავარი სპეციალისტი: ხატია ვაშაყმაძე
k.vashakmadze@gnta.ge

სპეციალისტი: ანა არაბული
a.arabuli@gnta.ge

ტელ: +995 322 43 69 99 (1820)
infostatistics@gnta.ge

მადლობა

ШИНАГАН САКМЕТА САМИНИСТРО

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,
საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

GEOSTAT www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

WWW.APA.GOV.GE
დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

დაცული ტერიტორიების სააგენტო

GCAA GEORGIAN CIVIL AVIATION AGENCY

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ISET

თსუ-ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ჭოველიძის ქ. 10ა, 0108, თბილისი, საქართველო
ტელ: +(995 32) 299 11 11; +(995 32) 299 11 05
ფაქსი: +(995 32) 292 15 34
E-mail: ministry@moesd.gov.ge
www.economy.ge

Georgia

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
სანაპიროს ქ. №4, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 436 999
ფაქსი: +995 32 2 436 085
E-mail: info@gnta.ge
www.georgia.travel
www.gnta.ge

2019

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო

www.economy.ge

Georgia

საქართველოს ტურიზმის ეროვნული
ადმინისტრაცია

www.gnta.ge